ოქმი:**ო37. 3723278001**
თარიღი:**05/10/2023**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დ. მდინარაძის**

**ანგარიშის მოსმენის სხდომის**

**ოქმი**

2023 წელი, 3 ოქტომბერი
ქ. ოზურგეთი
13.00-14.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** ლავრენტი ბიგვავა-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

**ესწრებოდნენ :** საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი პირები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე, სხდომის თავმჯდომარე ლ.ბიგვავა მიესალმა ამომრჩევლებს-აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება. განაცხადა, რომ დ. მდინარაძე არის საკრებულოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი რეგულარულად ესწრება და აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა, დ.მდინარაძემ საკრებულოს რეგლამენტის 131 -ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს სხდომებზე, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, გადაუჭრელ პრობლემებზე.აღნიშნა, რომ არის ქალაქში ოჯახები,სადაც სანიაღვრე არხის არ არსებობა იწვევს საცხოვრებელი სახლების დატბორვის საშიშროებას და მოითხოვს ახლის მოწყობასა და არსებულის რეაბილიტაცია.ასევე მოსახლეობის მოთხოვნაა მრავალსართულიანი ბინის პრობლემების მოგვარება და წინა ფასადების შეკეთება.

კოლეგებმა ხ. ცერცვაძემ და მ. ვაშალომიძემ აღნიშნეს, რომ დ. მდინარაძე პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას და ურთიერთთანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღინიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე ლ. ბიგვავა და აღნიშნა, რომ ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს,ხოლო დავით მდინარაძეს უსურვა წარმატებები მომავალ საქმიანობაში.

ლავრენტი ბიგვავა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი